ბეჭდური მედიის ეთიკის კოდექსის, სავარაუდოდ, დასრულებულ სახეს ევროსაბჭოსა და ევროკომისიის, ასევე, საერთაშორისო ჟურნალისტიკის ცენტრის უკუპრეტენზიული ქართული მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად 24 აპრილს სასტუმრო "მერიოტელი" განიხილავენ.

პროექტის, "თანამშრომლობა პროფესიონალური და დამოუკიდებელი მედიის განვითარებისათვის", მხარდასაჭერად არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტმა" თავდაპირველად ევროსაბჭოსა და ევროკომისიის ორგანიზაციებს მიმართა. დამტკიცებული პროექტი სამი მოთხოვნის განხილვით შესრულებას გულიანობას: ბეჭდური მედიის ეთიკის კოდექსის შემუშავება; მედიის თვითრეგულირების მექანიზმების ჩამოყალიბება; პრესსაბჭოს შექმნის შემთხვევაში ევროსაბჭო და ევროკომისია მას ფინანსურ და საქმიან დახმარებას გაუწევენ. "მომავალში კოდექსმა ორმაგი ფუნქცია უნდა შეასრულოს. ერთი მხრივ, დაეხმაროს ჟურნალისტებს, თავი პროფესიონალითა გუნდის წევრებად იგრძნონ და სოლიდარობა გამოუცხადონ ერთმანეთს და როგორც მნიშვნელოვანმა სოციალურმა ჯგუფმა - საზოგადოების გაჯანსაღებისათვის იბრძოლონ; მეორე მხრივ, საშუალება მისცეს საზოგადოებას, იცოდეს, თუ რას უნდა მოელოდეს პა-

კიდევ ერთი პროექტი

საერთაშორისო ორგანიზაცია Word Vision international-მა საქართველოში ადამიანის უფლებათა ახალგაზრდული პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის ფარგლებში, უახლოეს მომავალში სამხრეთ საქართველოში ახალგაზრდული ცენტრები დაფუძნდება, რომელთა შემდეგობით პროგრამის ავტორები რეგიონის აზერბაიჯანულ, ბერძნულ, სომხურ და ქართულ მოსახლეობას შორის ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე წარმოქმნილი პრობლემების აღმოფხვრასა და სოციალური პარმონიის დამყარებას ვარაუდობენ. გარდა ამისა, უახლოეს მომავალში Word Vision international-ი საქართველოში სამხარეო განვითარების პროექტს განახორციელებს, რომელიც რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის დახმარებას ითვალისწინებს. Word Vision international საქართველოში 1994 წელს დაფუძნდა და მის მიზანს სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება წარმოადგენს. გარდა ამისა, ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ფინანსებს USAID-თან ერთად მცირე ბიზნესის მხარდაჭერისა და განვითარების პროექტშიც მონაწილეობს. ინტერ-პრესი

მოკლედ

პონკონგი. ატიპური პნევმონიისგან პარასკევს ჰონკონგში 12 ადამიანი დაიღუპა. ერთ დღეში ამ დაავადებით გამოწვეული ახსელა მსხვერპლი ჯერ არ დაფიქსირებულა. ჰონკონგში პნევმონიამ სულ 81 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ინტერ-პრესი

რუსთავი. რუსთავის მერის ინიციატივით, ქალაქში პურის ყველა საცობი დაიხურა. მერაბ ტყემლაძემ საცობებში არსებული შექმნილი სანიტარული მდგომარეობა და მცხოვრელების ჩაცმულობა დაინუნა. ინტერ-პრესი

რუსთავი. რუსთავის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში შექმნილი მწვენი საგუშაგოს შტაბის წევრებმა გუშინ რუსთავში აქცია მოაწყეს და რამდენიმე ათეული ჭადარი დარგეს. ინტერ-პრესი

ვიზრიდული ბიბლიოთეკა ამოქმედდა

თამარ დვალდი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, ორშაბათიდან, თანამედროვე ბიბლიოთეკით ისარგებლებენ. წიგნად-ციფრული ბიბლიოთეკის პრეზენტაციაზე მოწვეულმა ჯანდაცვის მინისტრმა ამირან გამყრელიძემ აღფრთოვანება ვერ დამალა და შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: "ეს ბიბლიოთეკა არის ერთ-ერთი საუკეთესო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩემი ცხოვრების განმავლობაში წამყვანი ქვეყნების უნივერსიტეტებში მინახავს."

ბიბლიოთეკის რეკონსტრუქცია რეკორდულ დროში, რამდენიმე თვეში მოხდა. როგორც სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორმა სამეცნიერო დარგში, ვახტანგ ყიფიანმა აღნიშნა, ეს უნიკალური ბიბლიოთეკა მათ საკუთარი ხარჯებითა და უცხოელი პარტნიორების დახმარებით შექმნეს. "ჩვენ ინფორმაციის საუკუნეში ვცხოვრობთ და საინფორმაციო საკომუნიკაციო საშუალებები გადაწყვეტილია საზოგადოების განვითარებისათვის. დღეს მსოფლიოში ფართოდ შემოვიდა ჰიბრიდული, ანუ წიგნად-ციფრული ბიბლიოთეკა. სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო თუ სამეცნიერო პროცესის წინსვლისათვის აუცილებელი იყო წიგნად-ციფრული ბიბლიოთეკა შევქმენა. უცხო-



წიგნად-ციფრული ბიბლიოთეკაში



სკანონობა

ელი პარტნიორების დახმარებით, ჩვენ ეს ისე შევქმენით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთი კაპიცი არ მიგვიღია," - აღნიშნა ყიფიანმა. სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოთავსებული ბიბლიოთეკა რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. აქ არის სადისკუსიო და ვიდეო დარბაზები, 6 ათასი უცხოური წიგნი, 300 ინგლისურენოვანი ჟურნალი. ბიბლიოთეკას 27 ახალი კომპიუტერი აქვს. მთლიანი ქსელის საშუალებით, ნებისმიერ სამედიცინო კათედრას უახლესი ინფორმაციის საკუთარ კათედრაზე მიღება შეუძლია. ერთი სიტყვით, ეს არის საუკეთესო სამედიცინო ცენტრი, სადაც ექიმებს, სტუდენტებსა და მეცნიერებს იმ აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, რომელიც დღეს მსოფლიოში უახლესია.

ტებსა და მეცნიერებს იმ აუცილებელი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ, რომელიც დღეს მსოფლიოში არსებობს. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტთა უწყვეტი განათლების ქსელშია გაერთიანებული და მრავალი ორგანიზაციისა თუ ასოციაციის აღიარებული წევრიცაა. "ჩვენი უნივერსიტეტი წელს აკრედიტაციას ევროკავშირის სასწავლო არეალში გადის. კომისიის პირველი დასკვნები უკვე არსებობს. იმედოვნებ, რომ სასწავლო წლის ბოლოს, სამედიცინო უნივერსიტეტი აკრედიტირებული იქნება ევროსაბჭოს უნივერსიტეტებს შორის. საამა-

ყო, რომ ჩვენი უნივერსიტეტი პირველი უმაღლესი სამედიცინო სკოლა იქნება და 25-ე უმაღლესი სკოლა, რომლის აკრედიტაციის საკითხიც ევროპაში განიხილება. ჯერჯერობით არც ერთი სხვა სამედიცინო სკოლა ევროკავშირის არეალში არ არის რეგისტრირებული," - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა, რამაზ ხეცურიანმა. თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტს აქვს ინგლისურენოვანი ფაკულტეტი. ახლო მომავალში, საფრანგეთის საელჩოს დახმარებით, აქ ფრანგულენოვანი ფაკულტეტიც გაიხსნება.

„ჩემს თანამდებობას ბევრი უმიზნებს,“

აცხადებს სანიტარული ინსპექციის ხელმძღვანელი

ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობას 28 აპრილამდე კვლავ საკრებულოს მიერ გათავისუფლებული ჯუღელი ახვლედიანი ასრულებს. ამ ვადის გასვლის შემდეგ კი იგი მთაწმინდა-კრწანის რაიონულ სასამართლოში საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარის ნაწილი ქაჩიბაიას წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს.

ნანა ძაბაძიშვილი

"საკრებულოს არ ვუჩივი. სარჩელს იმ პიროვნების წინააღმდეგ შევიტანე, ვინც ჩემი გათავისუფლების საკითხი დააყენა. ნაწილი ქაჩიბაიამ საკრებულოს სხდომაზე ეს საკითხი მოუმზადებლად წარმოადგინა. საკრებულომაც ჩემი გათავისუფლების

შესახებ გადაწყვეტილება ისე გამოიტანა, ჩვენი სამსახურის საქმიანობა და ხელისშემშლელი მიზეზები არც კი გაუთვალისწინებია", - აცხადებს ჯუღელი ახვლედიანი. შეგახსენებთ, რომ მის გათავისუფლებას საკრებულოს კენჭისყრაში მონაწილე 35 წევრიდან 32-მა დაუჭირა მხარი. თუმცა, სხდომის დასაწყისში ფრაქციები "ალორძინება-თბი-

ლისი", "თბილისი" და "გაერთიანებული დემოკრატები" ახვლედიანის უნდობლობის საკითხის დაყენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ. თვით ანტოკორუფციული კომისიის თავმჯდომარე ბესო ჯუღელიც კი შეყოყმანდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს კომისია საკრებულოში სანიტარული სამსახურის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის საკითხის დასმის ინიციატორად მიიჩნეოდა. ჯუღელი ახვლედიანის მომხრენი საკრებულოს წევრების ასეთ საქციელს "ვიღაც-ვიღაცების" პირადი დაინტერესებულობითა და ერთმანეთზე ზენოლით ხსნიან. საკრებულო პოლიციას ვერ მოერიდა და ჯოხი დაბალ

ლობზე გადატეხაო, აცხადებენ ისინი. საკუთარი თანამშრომლების გარდა ახვლედიანს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტროც უჭერს მხარს და საკრებულოსა და მერიას წერილს წერილზე უგზავნის და საკრებულოს გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვს. სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ხელმძღვანელს მერი ნიშნავს. მერიაში ინსპექციის მომავალი უფროსის ვინაობას ჯერ არ აკონკრეტებენ. როგორც ჯუღელი ახვლედიანი აცხადებს, მის თანამდებობას ბევრი უმიზნებს, მაგრამ, იგი მათი ვინაობის დასახელებას, ჯერჯერობით, ერიდება.

მოდა მოსკოვიდან

“ტრიკოტაჟის ოსტატი” თბილისში

პირა ნაფარიაძე

წუხელ “აჭარა მიუზიკ ჰოლმი” მოსკოველი დიზაინერის სერგეი სისოევის შემოღობა-ზამთრის კოლექციის ჩვენება გაიმართა. კოსტუმებს მოსკოველი და ბაქოელი მოდელები წარადგინდნენ. დიზაინერი თბილისში თურმე აქაური ახლობლების წყალობით მოხვდა. ჩვენებამდე რამდენიმე საათით ადრე სტუმრებმა პრესკონფერენცია მასპინძელი სასტუმრო “სიმპათიის” საკონფერენციო დარბაზში გამართეს.

ჩვენთვის უცნობი დიზაინერის თბილისში მონევის იდეა და ორგანიზება ჟურნალ “ბუმერანგის” რედაქციასა და სამოდულო სააგენტო “მაქსიმუმს” ეკუთვნის. როგორც “მაქსიმუმის” ხელმძღვანელმა ეკა ჩიტაშვილმა გვითხრა, იდეა ძალიან მარტივად დაიბადა მისი მოსკოვში რიგითი ვიზიტის დროს, როდესაც მან შემთხვევით სისოევის კოლექცია ნახა. მაგრამ, ამ დიზაინერის ნამუშევრების გაცნობა მისთვის მთლად შემთხვევით არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც როგორც მოგვიანებით ითქვა, სერგეი სისოევი მოსკოვში მცხოვრები ჩიტაშვილის რეპერი მის, დათოს მეგობარია.

“ცნობილი მოსკოველი დიზაინერი”, - ამ ფრაზას გუშინდელი ჩვენების ორგანიზატორები ჟურნალისტებთან შეხვედრის დასაწყისში რატომღაც ძალიან ხშირად იმეორებდნენ, თუ როგორ უნდა ჩაიცივას ქალმა ახალ სეზონზე. ტრიკოტაჟისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება დიზაინერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზეც არაერთხელ აღნიშნა. “ამ მასალის შესაძლებლობები უსაზღვროა. ხელნაწერი ბენეფიტა თუ საცურაო კოსტუმებით დაწყებული, თეთრულითა და საღამოს კაბებით დამთავრებული”, - ტრიკოტაჟის შესაძლებლობებში თბილისელების დარწმუნება მოსკოველმა დიზაინერმა ალბათ გუშინ მოახერხა. “სისოევის ტრიკოტაჟი ყოველთვის ელემენტური, კომფორტული და კეთილმოხილულია. სავირო ფერთა გამა: მავი, თეთრი, წითელი.



სერგეი სისოევი ჩვენების ორგანიზატორთან ერთად.

“ტრიკოტაჟი, ტრიკოტაჟი და კიდევ ერთხელ ტრიკოტაჟი”, - ასე პასუხობს სერგეი სისოევი შეკითხვებს, თუ როგორ უნდა ჩაიცივას ქალმა ახალ სეზონზე. ტრიკოტაჟისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება დიზაინერმა გუშინდელ პრესკონფერენციაზეც არაერთხელ აღნიშნა. “ამ მასალის შესაძლებლობები უსაზღვროა. ხელნაწერი ბენეფიტა თუ საცურაო კოსტუმებით დაწყებული, თეთრულითა და საღამოს კაბებით დამთავრებული”, - ტრიკოტაჟის შესაძლებლობებში თბილისელების დარწმუნება მოსკოველმა დიზაინერმა ალბათ გუშინ მოახერხა. “სისოევის ტრიკოტაჟი ყოველთვის ელემენტური, კომფორტული და კეთილმოხილულია. სავირო ფერთა გამა: მავი, თეთრი, წითელი.

დამახასიათებელია გეომეტრიულად საინტერესო ბოლოკაბები, ჯემპერები, ტოპები და პალტოები”, - ძირითადად ასეთია სისოევის კოლექციების რუსული შეფასება. თავად დიზაინერი გუშინ საკმაოდ თავმდაბლურად პასუხობდა ქართული პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებს შემოქმედებით მიღწევების შესახებ. მისი თქმით, ჯერ-ჯერობით მხოლოდ ბელორუსში გასვლა მოახერხა, სადაც ძალიან შეიყვარეს და იმედი გამოთქვა, რომ მოსკოვისა და ბელორუსის შემდეგ მას საქართველოშიც თბილად მიიღებენ. “განგებ არ ვასახელებ ცნობილ სახელებს, თუ ვინ იცავს ჩემს ტანისამოსს, არ მინდა ამით გარკვეული PR ვანარმოო, ისე გეტყვი, რომ ჩემი შეკერლი ჩემსავე მეგობრებს აც-

ვიათ, რომლებიც საკმაოდ პოპულარული არიან როგორც ეკრანიდან, ისე მუსიკალური თუ სამსახიობო სცენიდან”, - გვითხრა გუშინ მოსკოველმა დიზაინერმა. სერგეი სისოევი 1992 წლიდან, სასწავლებლის დამთავრებისთანავე მოდის სამყაროში მოღვაწეობს; 1996 წლიდან კი საკუთარი საფაქრო ნიშანი აქვს; ხოლო ოთხი წლის წინათ მოსკოვში საკუთარი ფირმა დააარსა. რაც შეეხება ჩვენების ორგანიზატორებს, როგორც თავად გვითხრეს, მათთვის ეს ღონისძიება არ იქნება პრევილი და უანასკენელი - დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ხმაურიანი კონცერტის გამართვას შეგვიპირდნენ. მიგვაჩვენეს, რომ მათი მორიგი “ვარსკლავიც” რუსეთიდან იქნება.

“ოქროს ნიღაბი” - 2003

რამდენიმე დღის წინ სანკტ-პეტერბურგში, მარიას თეატრში დაასახლეს 1994 წელს რუსეთის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მიერ დანერგული ეროვნული თეატრალური პრემიის - “ოქროს ნიღაბის” წლებიანი მფლობელები. მამაკაცის საუკეთესო როლის მსრულები-სათვის “ოქროს ნიღაბი” ცნობილ რუს მსახიობს - ალექსანდრე კალიაგინს ხვდა ნიღაბი, საუკეთესო მსახიობი ქალის ტიტული წლეულს ტატიანა შჩუკოს ერგო, ლიდის როლის მსრულები-სათვის სპექტაკლში “მოსკოვის ქორო” (მცირე დრამატული თეატრი - ვეროპის თეატრი. სანკტ-პეტერბურგი). თავის მხრივ, ამ სპექტაკლმა “დიდი ფორმის” სპექტაკლის ნომინაციაში გაიმარჯვა. საუკეთესო “მცირე ფორმის” სპექტაკლი კი ჩეხოვის “ქალი ძაღლით” გახდა, რომელიც მოსკოვის მოზარდმაყურებელთა თეატრში დადგა რეჟისორმა კამა გინკასმა. გინკასმა “ოქროს ნიღაბი” თეატრის საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაშიც აიღო.

ფიურიმ, რომელსაც სსრკ-ს სახალხო არტისტი ნიკიტა დოლგუშინი თავმჯდომარეობდა, საუკეთესო მიუზიკლად გეორგი ვასილევისა და ალექსეი ივანოვის “ნორდ-ოსტი” დაასახელა. მიუზიკლის მთავარი როლის შემსრულებელი იური მაზინიცი “ოქროს ნიღაბის” ლაურეატი გახდა. საუკეთესო მხატვრული ნამუშევრისთვის იური ხარიკოვი დაჯილდოვდა “დიდი კურაჟის” გაფორმებისათვის (თეატრი “სამარტი”. სამარა). რუსეთში წარმოდგენილი საუკეთესო სპექტაკლი კი

ფრანგული “ვოციეკი” გახდა. მაცურებელი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს “ოქროს ნიღაბის” ბალეტისა და თანამედროვე ცეკვის კონკურსსაც. საუკეთესო მოცეკვავე ქალი ილზა ლივა გახდა, საუკეთესო მოცეკვავე მამაკაცის ტიტული კი ნიკოლაი ცისკარიძის მიენიჭა (დიდი თეატრი, “პიკის ქალი”). რაც შეეხება საბალეტო სპექტაკლს, “როლან პეტის ქორეოგრაფიის სალაში” (დიდი თეატრი) “ოქროს ნიღ-

ბის” მფლობელი გახდა. საოპერო სპექტაკლებს შორის უპირატესობა სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუსიკალურ თეატრში (მოსკოვი) დადგმულმა “მადამ ბატერფლაიმ” მოიპოვა.



ალექსანდრე კალიაგინი და რობერტ სტურუა.

ჩარლი ჩაპლინის კვირეული თბილისში

ნანა ბასილაშვილი

თბილისში ამერიკელი მსახიობის, რეჟისორის, სცენარისტის, პროდიუსერისა და კომპოზიტორის ჩარლი ჩაპლინის კვირეული მიმდინარეობს. კვირეული ჩაპლინის 114 წლის იუბილესთან დაკავშირებით მის დაბადების დღეს, 16 აპრილს დაიწყო. XX საუკუნის დიდი კომედიანტის საიუბილეო დღეებს ქართველი თავიანთი ნისმცემლები თბილისში, ჩარლის კლუბში აღნიშნავენ. კლუბის მებატონეები თავისთან ეპატიუბიან ყველას, განსაკუთრებით პატარებს. ნებისმიერ მსურველს ჩარლის ფილმებისა და მის შესახებ მოპოვებული სხვადასხვა დოკუმენტური მასალის ხილვას სთავაზობენ.

1997 წელს თბილისში, თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ლალი გორგასალიძემ საბავშვო კინოცენტრი დააარსა. ცენტრის ბაზაზე შეიქმნა კინოარქივი, სადაც წლების მანძილზე როგორც ქართულ, ისე მსოფლიო კინოფილმებისა და კინოცენტრის არსებობის ჩარლი ჩაპლინის კლუბი, სადაც ყველა მსურველს საშუალება ეძლევა კინო გენიოსის შესახებ მოპოვებული სხვადასხვა დოკუმენტური მასალა იხილოს. “1989 წლიდან ვაგროვებ ყველაფერს ჩაპლინის შესახებ. პირველი დიდი ღონისძიება, 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაემართეთ. მას შემდეგ, 14 წლის განმავლობაში, ყოველ 16 აპრილს ვზეიმით ჩარლის დაბადების დღეს”, - აღნიშნა კლუბის დამფუძნებელმა ლალი გორგასალიძემ.

ჩარლი ჩაპლინის კლუბმა, უკვე ერთი წელიწადია, სერგო ზაქარაიძ-

ის სახელობის ტრადიციულ და თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო კოლეჯში დაილო ბინა. კოლეჯის სარდაფში ინახება გორგასალიძის მიერ მრავალი წლის განმავლობაში მოპოვებული სხვადასხვა დოკუმენტური მასალა ჩაპლინის შესახებ. იუბილეს აღსანიშნავად, კლუბში ყოველდღე რამდენიმე დღის განმავლობაში, ჩარლის ფილმების ჩვენება ეწყობა. “მკურნალობა”, “მზიანი ღამე”, “თავდასავლის მაძიებელი”, “ერთი დღის სიამოვნებანი” და ა.შ. კიდევ რვა კლასიკური ფილმის ჩვენება, 16 მილიმეტრიანი ფირით, ძალიან ძველი კინოაპარატურით მოეწყობა. “მან იმის საშუალება მოგვცა, რომ კინოში რეტრო დავაბრუნოთ, რაც დიდ ინტერესს იწვევს, განსაკუთრებით ბავშვებში. ეს კი ყველაზე მეტად გვიხარია. ყველას აქვს ტელევიზორი, ვიდრე აპარატურა, მაგრამ ის, რასაც ჩვენ ვთავაზობთ, უკვე ძალიან იშვიათი სანახაობაა”, - ამბობს ლალი გორგასალიძე.

მას შემდეგ რაც თბილისში ჩარლი ჩაპლინის კლუბი დაარსდა, მისმა მესვეურებმა კულტურული პროგრამის მიხედვით, ოფიციალური ურთიერთობა დაამყარეს შვეიცარიაში ჩაპლინის ოჯახთან, - “გაგზავნილი გვაქვს მასალები და წერილები ვევეში, ჩარლის მეუღლესთან, უნასთან და მის შვილთან - ჯერალდინასთან. უკვე ძალიან მალე ველოდებით მოლაპარაკების დაწყებას იმის შესახებ, რომ ჩვენს ცენტრში არსებული “კინო და ტურიზმის კლუბის” ბაზაზე ჩაპლინის მუზეუმში კულტურული პროგრამები ჩამოვაყალიბოთ”. ყველას, ვისაც თბილისში ჩარლი ჩაპლინის ირგვლივ მოპოვებული დოკუმენტური მასალა აინტერესებს და 1920 წლის კინოპროექტორით, 16 მილიმეტრიანი ფირებით, ჩაპლინის კლასიკური ფილმების ნახვა სურს, შეეძლიათ ი.ჯავახიშვილის №88-ს ესტუმროთ.



Advertisement for 'VIVA, NAKH-VIPIKURBIS' featuring a large image of a city street with a monument and a coat of arms. The text includes dates and details about the event.

ზინები

იხილეთ

იყიდა ერთი თობი ალბა-შენილის 82-ში... ფაისი: 5600\$. ტელ: 34-06-65, 894-85-40, 899 266 221.

იყიდა 3-სართულიანი კვანძი... ფაისი: 24 000\$. ტელ: 29-17-53, 899 584825

იყიდა 1500 კვ.მ. ხეილიანი საავტომობილო მიწის ნაკვეთი... ფაისი: 32 000\$. ტელ: 23-11-38

იყიდა დოლიძის ქუჩაზე 5-თობიანი ნოსელი ბინა 2(8) დარჩენილი კომეტურის სა-მუშაო, ორი აივანი, დიდი სათავსო, მანქანის სადგომი. ფაისი: 32 000\$. ტელ: 23-11-38

იყიდა 2,5-თობიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე... ტელ: 38-32-50

იყიდა ან ქირადება 5-თობიანი ბინა მაღალ ბიულეტაზე... ფაისი: 23 40 66, 89(9) 32 32 74

იყიდა 3-თობიანი გარემოცვითი კუბის სახლი... ფაისი: 22 000\$. ტელ: 33-25-20

იყიდა 3-თობიანი არასტანდარტული, მაღალჭირბოვანი კუბის ბინა ბუნებრივი აირით... ფაისი: 30 000\$. ტელ: 39-30-54

ზინები

4-თობიანი ახალი ბინა მეტრო დელითან... ფაისი: 32 03 71, 8(99) 29 88 05

სახლი ადამიანების გამზ. N151 (24-ე სკოლისთან) ვერო-რემონტით... ფაისი: 37-28-77, 93-16-11; 899 539097

იყიდა მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე... ფაისი: 1900. 877 730866

იყიდა BMW-518-ის ძრავი - 1,8 კუბ.მ. „პრისკოი“, სიჩქარის ფიდელები... ფაისი: 98 32 80

იყიდა 3-თობიანი არასტანდარტული, მაღალჭირბოვანი კუბის ბინა ბუნებრივი აირით... ფაისი: 30 000\$. ტელ: 39-30-54

სწავლება

ლონდონში სტატირებულ სპეციალისტი გთავაზობთ მსატრეულ ლტერანტურას... ტელ: 899 16 28 68

სხვადასხვა

კახინო "მუშია" ესპორტოვანი კვალიფიკაციის დიპლომი... ტელ: 899 216566

ვინაიდან ძალდება დაეცხმარე დატვირთვა-უნაბუნა... ფაისი: 897 575 116

ვინაიდან ნებისმიერი სორტის ტექსტი ინგლისური, გერმანული და რუსული ენებში... ფაისი: 75 53 55

იყიდა სუფთა ჯიშის როტ-ვიტონი... ფაისი: 98 32 80



AUDI 90 Coupe GT

კომპანია "InterCor.comServis" მთავარობით მუშაობს სახის მომსახურებაში... ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

ვეილერის ლეკვები. 95 66 66 გვესაუბრობს მიმტანი გოგონები... ტელ: 23 71 24

მოვლუბის საავტოტო "ფიქსტა" ინვესტირებს 10-დან 20 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს... ფაისი: 38 59 71, 38 94 69

ფანასკეტბლის სახელობის სახელობის უნივერსიტეტი... ფაისი: 899 551722

ესპორტოვანი ინგლისურის, კომპიუტერის და ინტერნეტში მუშაობის მკვლევარი... ფაისი: 68. 95 69 66

გთავაზობთ უნიკალურ ფრანგულ კოსმეტიკას... ფაისი: 899 551722

ფანასკეტბლის სახელობის სახელობის უნივერსიტეტი... ფაისი: 899 551722

ინტერნეტის განვითარების ჯგუფი - საქართველო ანუ სსსკოლო ინტერნეტის გვერდის კონსტრუქციის განაცხადი... www.idg-georgia.org.ge

ციფრული მონიტორინგი, ოპერატორის სერვისებისა და ფოტო სახის შესანახავალი სახანაო სატელევიზიო ცენტრის სერვისების განხორციელება... ტელ: 34-41-15, 34-67-50

ქართული ლიგაში განვითარების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ... ტელ: 91-07-23; 91-07-45; ან მობრ-დანეთ შემდეგ მისამართზე: ნურეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა)...

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი... ფაისი: 899 551722

TV პროგრამა 20 აპრილი

Table with TV programs for 20 April, 08:00-22:00. Includes programs like 'კლასიკა', 'პურიანი', 'დრამატული მომთხრობის რეპერტუარი'.

Table with TV programs for 20 April, 19:00-23:00. Includes programs like 'მეორე არხი', 'მხიარული პაროდიები', 'დინამიკი'.

Table with TV programs for 20 April, 08:00-23:00. Includes programs like 'ანონსი', 'მულტიფილმი', 'საბავშვო მუსიკალური პროგრამები'.

Table with TV programs for 20 April, 11:00-23:30. Includes programs like 'საბავშვო მუსიკალური პროგრამები', 'თეატრალური მხამდამები', 'მუსიკალური ორკესტრი'.

Table with TV programs for 20 April, 09:30-23:30. Includes programs like 'მეორე არხი', 'დღის ანონსი', 'სერიალი'.

Table with TV programs for 20 April, 10:00-22:00. Includes programs like 'სერიალი', 'მეორე არხი', 'საბავშვო მუსიკალური პროგრამები'.

Table with TV programs for 20 April, 11:00-23:00. Includes programs like 'ნებილი', 'საბავშვო მუსიკალური პროგრამები', 'სერიალი'.

Table with TV programs for 20 April, 08:00-23:00. Includes programs like 'სერიალი', 'საბავშვო მუსიკალური პროგრამები', 'სერიალი'.

Table with TV programs for 20 April, 16:50-23:00. Includes programs like 'სერიალი', 'საბავშვო მუსიკალური პროგრამები', 'სერიალი'.

Table with TV programs for 20 April, 11:10-04:05. Includes programs like 'Непугуемые заметки', 'Пока все дома', 'Дру-шоу'.

Table with TV programs for 20 April, 07:00-00:50. Includes programs like 'Худ. фильм "АКВАЛАНГИ НА ДНЕ"', 'Мультифильм', 'Джуманджи'.

Table with TV programs for 20 April, 07:00-03:00. Includes programs like 'Худ. фильм "ГОЛУБОЕ ДЕРЕВО"', 'Полудняра!', 'Сегодня'.

Table with TV programs for 20 April, 08:00-23:00. Includes programs like 'პირველი არხი', 'მუსიკა', 'მუსიკალური პროგრამები'.

Table with TV programs for 20 April, 10:00-23:00. Includes programs like 'პირველი სტამბოლი', 'სერიალი', 'საბავშვო მუსიკალური პროგრამები'.

Large advertisement for Lingerie featuring brands like LA PERLA, lejaby barbara, Triumph, Amarea DAVID. Includes a woman in lingerie and 'SALE 10-30%' text.

კოზ მსიკა

ჰად ლოუ „ბითლზის“ პროდიუსარის როლში

ბრიტანელი მსახიობი ჯუდ ლოუ ბრაიან ეშტინის როლს შეასრულებს. მენეჯერი, რომელმაც ლეგენდარული ოთხეული წარმოდგენელ სიმბალემდე აიყვანა, მოულოდნელად სწორედ „ბითლზის“ პოპულარობის პიკზე გარდაიცვალა. მსახიობი ტოდ გრაფი ამჯერად ფილმის სცენარისტისა და რეჟისორის ამპლუაში წარსდგება.

ჯუდ ლოუ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თურმე ოცნებობდა ეშ-

ტინის როლის შესრულებაზე. ამ ხნის განმავლობაში იზუპირებდა მისი კერპის ბიოგრაფიას და მშვიდად ელოდა როდის მიადგებდა როლის შესასრულებლად სასურველ ასაკს. 32 წლის ეშტინის როლს ახლა 24 წლის ბრიტანელი მსახიობი შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ ლოუმ 1999 წელს მონაწილეობა მიიღო დოკუმენტურ ფილმში, სადაც იგი ეშტინის დღე-ღებებს კითხულობდა.

Blur-ის მიმართ ინტერესი არ ჩამქრალა

Blur აქტიურ საკონცერტო მოღვაწეობას დაუბრუნდა, რამაც დიდ ბრიტანეთში დიდი აფიქტაჟი გამოიწვია. მაისში დაგეგმილ ჯგუფის ოთხ კონცერტზე 10 ათასი ბილეთი ორ საათში გაიყიდა. 8, 9, 10 და 12 მაისს ლონდონის „ასტორიაში“ დაგეგმილ კონცერტების სერიას მეხუთედ დღეც დაემატა. „კი ვიყავით დარწმუნებულები, რომ დაინტერესება ჩვენი ჯგუფის მიმართ დიდი იქნებოდა, მაგრამ ასეთ შედეგს მაინც არ

ველოდით“, - გაცემბულები არიან თავად მუსიკოსები.

ასეთი ვნებათაღელვა ბრიტ-პოპის პიონერების მიმართ სრულიად გასაკვირა. როგორც ცნობილია, ჯგუფის მორიგი სტუდიური ალბომი Think Tank ოციციკლურად 5 მაისს გამოდის. ფანებისთვის არც ის ფაქტი დარჩა საიდუმლოდ, რომ ამ ალბომზე Fatboy Slim-აც იმუშავა. ამ დღეებში კი ჯგუფის სინგლის Out Of Time პრემიერა გაიმართა.

პოლი საქართველოთი კვაყოფილია

პი ჯეი ჰარვიმ თითქმის დაასრულა მუშაობა მორიგ სტუდიურ ალბომზე. მუსიკოსის თქმით, დისკი საკმაოდ „არასასიამოვნო და ცოცხალი“ გამოვიდა. „ყოველთვის ახალ დისკს წინასვადარებ. ყოველ ჯერზე ვცდილობ, მომეზონო შეფასების ახალი კუთხე, რადგანაც არ მსურს განემეორდეს არც ეს ალბომია გამონაკლისი. ის რაღაც არასასიამოვნო გამოვიდა. მასში არა-

სასიამოვნო სიმღერების მთელი წყებაა. ამას გარდა, ალბომი ძალიან ცოცხალია, ნაღვლიანი, ბლუზის ელემენტებით, მაგრამ მომწონს, რადგანაც ვაკეთებ იმას, რაც მოცემულ მომენტში ჩემს გულს სურს“, - უთხრა Radio 1-ის ჟურნალისტს მუსიკოსმა. ალბომი გაყიდვაში წლის ბოლოს გამოვა. ამის შემდეგ პოლი ტურნეს დიდ ბრიტანეთში გამართავს.

ლენონის ჩანაწერები აუქციონზე გაიყიდება

მოგისმენიათ როდესმე სიმღერა The Radiant World of Natural ჯონ ლენონის შესრულებით? ალბათ, არა. ესაა სიმღერა, რომელიც ლენონმა 1969 წელს ხუთი წლის კიოკო კოქსის გასართობად დაწერა. კიოკო იოკო ონოს შვილია პირველი ქორწინებიდან.

ორ კასეტას, სადაც ჩანაწერი ლენონისა და მისი ქალიშვილის სიმღერები და საუბარი, აუქციონზე გაიტანენ. ჩანაწერში მოისმენენ, როგორ ქმნის ლენონი სიმღერას,

რომელსაც დაარქვა The Teapot Song, რომელსაც ბავშვმა სახელწოდება შეუცვალა და დაარქვა The Radiant World of Natural. აღნიშნულ ჩანაწერში ლენონი მღერის ჩიტებზე, დათვებზე და ყველზე. შემდეგ კი დაიკვირებს: „რა მოსაწყენია!“ ჩანაწერში ისმის იოკო ონოს ხმაც: „სადილი მზადაა!“, ლენონის კომენტარით: „თქვა დედოფალმა“.

ეს ჩანაწერები თავიდან ექვს ფირად იყოს, რომელთაგან ოთხი წინა აუქციონებზე გაიყიდა.

The Bad Seeds-მა ბლიკსა დაკარგა

უკვე ოციციკლურად დადასტურდა, რომ The Bad Seeds-დან წავიდა ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ბლიკსა ბარტელდი. ბოლო დროს ხშირად საუბრობდნენ, ბარტელდისა

და ნიკ ქეივის ინტერესების გაყოფაზე; რომ ისინი მუსიკაში ვეღარ პოულობდნენ საერთო ენას. როგორც ჩანს, ხმები მთლად უსაფუძვლო არ ყოფილა.

საქართველოს მუსიკის ცენტრი
29 მარტიდან, შეიძინეთ გაერთიანებული!
ფირმა "ფინქსი" ყიდულობს წარმგების.

წამალი "სალხინო" ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტეიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერხელის ბავთვა მიწებება, სუნე ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძელის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუწყაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგესსნებათ.

"სალხინო" ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლცისტიტი), პეპტიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცხილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მონონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში. წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

ბრიჭი
N 4
♠ x ♣ K x x x
♦ DV 10 x
♠ AK x x
♠ AD V 10 x x x x
♥ 10 x x
♦ x ♣ x
♠ x x ♣ x
♥ DV x x
♦ K x ♣ DV x x x
♠ K x ♣ A x
♦ A 9 x x x x
♣ 10 x x
♠ Q 8 7 4
♥ A J 10 9
♦ K 7 6 5
♣ 10
♠ J 10
♥ K 8 4 3 2
♦ Q 10 9 4
♣ 4 2
♠ AK 9 3
♥ Q
♦ A J 3 2
♣ K Q 9 7

ყურადღება მიაქციეთ მეორე სვლაზე ყვავის ადებს თულებს ათიანი და არა მცირე კარტი. ეს რომ ასე არ გაკეთდეს მეხუთე სვლაზე ხელის გადაცემა S-ისათვის გაჭირდება. კულმინაცია მეშვიდე სვლა, როდესაც E-ს უხდება მეოთხე გულის ჩატანა, რომელიც თურმე საჭირო ყოფილა. W-სა და E-ს სამ-სამი გული ამ ფერის კონტროლისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

N 5
შარმან 7 - 17 ივლისს ინგლისში ჩატარდა ახალგაზრდათა ევროპის მე-18-ე ჩემპიონატი. ეს ჩემპიონატი სინამდვილეში ორი სხვადასხვა ჩემპიონატისაგან შედგებოდა. ერთი იყო 19 - 25 წლის ახალგაზრდებისათვის და მეორე სკოლის მოსწავლეებისათვის (12 - 18). ამჯერად სასკოლო ჩემპიონატის შესახებ მოგვიყვებით. ჩემპიონი გახდა ისრაელის გუნდი, რომელიც ჩემპიონატზე ყველაზე მცირეწლოვანი იყო.

მოგანვით ამ გუნდის ყველაზე უმცროსი წევრის მიერ გათამაშებულ დარიგებას. ეს წყვილია ლიტან ფიშერი (N) და ელინარ არგელაზი (S). მათ მცირე შლეში შეუკვეთეს შემდეგი აუქციონის შედეგად:

Table with 4 columns: W, N, E, S. Row 1: ♠s, ♠s, ♠s, 1♦. Row 2: ♠s, 1♥, ♠s, 2უთ. Row 3: ♠s, 3♣, ♠s, 3♠. Row 4: ♠s, 4♣, ♠s, 4♦. Row 5: ♠s, 6♠, ♠s, ♠s. Row 6: ♠s, empty, empty, empty.

N-ს აქვს მხოლოდ 12 ქულა, განაწილების ქულების გათვალისწინებით. იგი დისციპლინირებულია და რადგან აქვს 13-ზე ნაკლები ამბობს "პას". S-ს აქვს 23 ქულა. მართალია მას შეუძლია მხოლოდ თავისი თავის იმედად გამოაცხადოს რაიმე მეორე დონეზე, მაგრამ რადგან მისმა პარტნიორმა უკვე შეატყობინა პასით თავისი სისუსტე, აღარ ადის მეორე დონეზე. იგი პრობლემის წინაშეა, მას აქვს სამი, რადენობით თანაბარი ფერი. იგი აცხადებს ფერს, რომლის შემდეგ არის მხოლოდ ერთკარტიანი ფერი (♣), რათა მისცეს პარტნიორს საშუალება თუ მას აქვს შესაძლებლობა ამ ფერში, გამოაცხადოს იგი. პარტნიორი ამ შესაძლებლობას სარგებლობს და ამბობს "1♥". N-მა იცის, რომ S-ს 13 ქულა ან მეტი აქვს და აგურში 4 კარტი მაინც. S-მა კი იცის, რომ N-ის ქულეობა არა ნაკლებ 7 და არა უმეტეს 12, მინიმუმ 4 კარტი გულში. ამ ვითარებაში მართლაც იდეალური ნათქვამია "2 უთულფო". იგი ატყობინებს პარტნიორს, რომ მას ჯვარი და ყვავიც ცუდი არა აქვს და იგი "1 უთულფოს" კი არ ამბობს, არამედ აკეთებს ნახტომს და ამბობს "2 უთულფოს". ამით ის აცხადებს, რომ მას ქულეები 13-ზე გაცილებით მეტი აქვს. N-მა უკვე ბევრი რამ იცის S-ის შესახებ და მას გადასანწყვები აქვს კონტრაქტია ყველაზე მეტი ქულის მომტანი. დადგა დრო გავაკეთოთ მცირე განმარტება ქულეების შესახებ.

შევეთილი და შესრულებული ყოველი დონე იძლევა 20 ქულას თუ თულფა ჯვარი ან აგური და 30 ქულას თუ თულფა გული, ყვავი ან შეკვეთილია უთულფო (უთულფოს შემთხვევაში გამოიკლისია პირველი დონე, იგი 40 ქულა ღირს). ამას გარდა არის პრიზებიც, თუ დაგროვდა 100 ქულა (ამას გეიმს უწოდებენ), ან ვითამაშეთ შლეში (მცირე ან დიდი). გეიმისათვის საჭიროა შეუკვეთოთ და შევასრულოთ: 5 ჯვარი ან აგური (20 x 5 = 100), ან 4 გული ან ყვავი (30 x 4 = 120), ან 3 უთულფო (40 + 30 x 2 = 100). მცირე შლეშია, თუ შეუკვეთეთ და შევასრულოთ 12 ალბა. დიდი შლეშია თუ შეუკვეთეთ და ავიღეთ ყველა ალბა. პრიზები საგრძობია. ცხრილს შემდეგში მოგანვით.



სკოლის მოსწავლეთა შორის ევროპის ჩემპიონი, ისრაელის გუნდი

დავებრუნდეთ ისრაელის ყანაწილებს (მშვენიერი ქართული სიტყვაა, თინიჯერს მაინც სჯობს). N-მა იცის, რომ მათ აქვთ თულფად აგური (არა ნაკლებ 4 განაცხადა თავისი პირველი სიტყვით S-მა და თავად აქვს 4), მაგრამ თუ S-ს აქვს 4 გული ან ყვავი, მაშინ თულფად ის აჯობებს (მეტ ქულას იძლევა). ამისათვის იყენებენ ხელოვნურ განაცხადს (შეითხვას) "3 ჯვარი". ამ შეითხვას პარტნიორმა ზუსტად უნდა უპასუხოს: "3♦" - არც გულშია 4 და არც ყვავშია 4, "3♥" - გულშია 4, "3♠" - ყვავშია 4, "3 უთულფო" - ორივეში ოთხ-ოთხია. N-მა პასუხის შემდეგ უკვე იცის, რომ თულფად ყვავიც გამოდგება (მათ ხელში რვაა 13-დან). შემდეგი განაცხადიც ხელოვნური შეითხვაა. იგი მოითხოვს ტუზების რაოდენობის შეტყობინებას. პასუხებია: "4♦" - ტუზები არა მაქვს, ან 3 ტუზი მაქვს, ან 2 ტუზი და თულფის K, "4♥" - 1 ტუზი მაქვს, ან 4 ტუზი, ან 3 ტუზი და თულფის K, და ასე შემდეგ. ეს შეითხვა და პასუხი საჭიროა გადასანწყვტად, გავჩრდეთ თუ შლეში შეუკვეთოთ. შლეშის გათამაშებისას თუ ტუზი მონიხაღმდეგის ხელშია, ეს ფაქტურად და კარგული ალბაა. მიაქციეთ ყურადღება ალტერნატიულ პასუხებსაც. თუ გაიანგარიშებთ, ალტერნატიულ პასუხებს შორის განსხვავება სამი ტუზია, ანუ 11-12 ქულა. ეს განსხვავება კარგმა მოთამაშემ უნდა შეამჩნიოს და სწორი დასკვნა გააკეთოს. ასე რომ N-მა გადაწყვიტა, რომ S-ს ან 3 ტუზი აქვს ან 2 ტუზი თულფის K-თი და დანიშნა მცირე შლეში თულფი ყვავი.

როგორი გეგმით უნდა შესრულდეს ეს კონტრაქტი?

კროსვორდი
A crossword puzzle grid with various clues in Georgian. The grid is partially filled with letters and contains several black squares. Clues include names like 'მარიამი', 'ივანე', 'დავითი', and 'სიმონი', as well as dates and historical events.